music as therapy
international

მუსიკის, როგორც თერაპიის პრაქტიკული გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის

დისტანციური სწავლების პროგრამა

ვისთვის არის ეს პროგრამა?

ეს კურსი შესაფერისია ყველასთვის, ვინც მუშაობს 10 წლამდე ასაკის ბავშვებთან, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან სწავლის უნარის დაქვეითება, ან სოციალური უნარების დარღვევა (მაგ. აუტიზმი) და ვინც მოტივირებულია განავითაროს მუსიკის გამოყენების უნარები განვითარების, სოციალური და ემოციური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სტუდენტებს არ მოეთხოვებათ არსებული მუსიკალური უნარები.
<u>ეს კურსი არ მოამზადებს სტუდენტებს, რომ გახდნენ მუსიკის თერაპევტები.</u>

რა არის მუსიკა როგორც თერაპია?

მუსიკა როგორც თერაპია არის მუსიკისა და ხმის გამოყენება სტრუქტურირებულ გარემოში, რათა ხელი შეუწყოს ინდივიდის ფსიქიკურ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობას. სტრუქტურირებული მუსიკალური აქტივობები და იმპროვიზაცია მარტივი დასარტყამი ინსტრუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ უნარების გასაუმჯობესებლად, რომელთა განვითარებაშიც შეიძლება დაგჭირდეთ დახმარება, მათ შორის:



- ყურადღება და მოსმენა
- არავერბალური გამოხატვა
- კომუნიკაციის უნარი
- რიგის დაცვა და ლიდერობა
- სოციალური კომპეტენცია დათავდაჯერებულობა

ეს არ არის მუსიკის სწავლებადა მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა შეიძლება აითვისონ ძირითადი მუსიკალური უნარები, მაგალითად, როგორ უნდა დაკვრა გარკვეულ ინსტრუმენტზე, ეს არ არის სამუშაოს მიზანი.

რას მოიცავს პროგრამა?

ეს პროგრამა სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ თერაპიული მუსიკალური პროგრამა, რომლის შეთავაზებასაც შეძლებენ მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის ან ბენეფიციარებისთვის.

სწავლება მოიცავს სწავლის შემდეგ სფეროებს:

- ბავშვის განვითარება
- მიჯაჭვულობის თეორია და დედა/ჩვილი ურთიერთქმედება
- ბავშვზე ორიენტირებული თამაში
- მუსიკისა და ხმის გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ინტერპერსონალური კავშირების დასამყარებლად
- აქტიური მუსიკის გამოყენება კომუნიკაციისა და ემოციური გამოხატვის გასაადვილებლად
- როგორ შევაფასოთ ბავშვები, ჩამოვაყალიბოთ მიზნები და შევაფასოთ პროგრესი მუსიკალური სესიების კონტექსტში
- მუსიკალური რესურსები

რას მოიცავს პროგრამა?

ეს არის დისტანციური სწავლების პროგრამა, რომელიც მოიცავს:

- 8 ონლაინ ლექცია (Tutorial) (ნაწილდება ყოველთვიურად)
- ყოველთვიურად ერთ წერილობითი დავალებას, რათა გაამყაროს ნასწავლი თითოეული სახელმძღვანელოდან, ან იმის დემონსტრირება, თუ როგორ განხორციელდა იგი პრაქტიკაში.
- ერთ ინტენსიური სასწავლო ტრენინგს (ეს გულისხმობს ორდღიან პრაქტიკულ სწავლებას მუსიკათერაპევტის მიერ (თარიღები და ადგილმდებარეობა tbc)
- 8 კვირიან პრაქტიკული დავალებას (თარიღები შემდგომ გაირკვევა, ლექციებისა და წერილობითი დავალებების დასრულების შემდეგ)
- ონლაინ ზედამხედველობას (სუპერვიზიას)

კონკრეტულად რა არის პრაქტიკული დავალება?

რვა კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ მუსიკალური სესიების გამართვა ფიზიკური ან სწავლის უნარის მქონე ბავშვების მცირე ჯგუფისთვის, ან სოციალური დარღვევით. ეს შეიძლება შეიცავდეს:

აუტისტური სპექტრის დარღვევებს
სმენის დაქვეითებას
დაუნის სინდრომს
მხედველობის დარღვევას
განვითარების შეფერხებას
ცერებრალურ დამბლას
კომუნიკაციის სირთულეებს
კომუნიკაციის დარღვევებს

<u>შენიშვნა:</u> ამ ბავშვთაგან ბევრს ექნება გაძლიერებული ემოციური მოთხოვნილებები მათი შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით. თუმცა, ეს პროგრამა არ არ ამზადებს სტუდენტებს იმ ბავშვებთან მუშაობისთვის, რომელთა პირველადი დიაგნოზი მძიმე ემოციური ან ქცევითი მოთხოვნილებებია.

პრაქტიკული დავალების შესრულების ნებართვა უნდა მიენიჭოს იმ ცენტრის, ბაღის თუ სკოლის დირექციას, რომელშიც სტუდენტი მუშაობს. შესაძლოა საჭირო გახდეს მშობლების/მზრუნველების თანხმობა ადგილობრივი პოლისის შესაბამისად.

როგორ ფასდება ცოდნა და უნარები?

ამ კურსის დასრულება დაყოფილია ორ ნაწილად - თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებად, რომლებიც თითოეულს ენიჭება ქულების 50%-ს. მოსწავლეებს მოეთხოვებათ ორივე კომპონენტის ჩაბარება (გადამსვლელი ქულა 5=50%).

შეფასება ეფუძნება ჩვენს კომპეტენციების ჩარჩოს, რომელიც ხაზს უსვამს საჭირო უნარებს. სტუდენტები მიიღებენ დამატებით ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმებისა და კომპეტენციების ჩარჩოს შესახებ სახელმძღვანელო 1-ში.

როგორ ჩავირიცხო კურსზე?

გთხოვთ, მოგვწეროთ takojordania@musicastherapy.org , რომ გვითხრათ, რომ დაინტერესებული ხართ დარეგისტრირებით. ჩვენ გამოგიგზავნით განაცხადის ფორმას, რომელიც უნდა შეავსოთ და დაგვიბრუნოთ.